ოქმი N21

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 16 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 25 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანანმდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანანმდებობის რანგირების, თანანმდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ლემონჯარია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 156,6 ათასი ლარით. კერძოდ: 6,0 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებები; 150,6 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექპლუატაციის ასიგნებები“. გამონთავისუფლებული 156,6 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 149,5 ათასი ლარი - პრიორიტეტის „აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებები; 7,1 ათასი ლარი - „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ ასიგნებებზე. ხობის

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10151,1 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N55 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანანმდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანანმდებობის რანგირების, თანანმდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანანმდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანანმდებობის რანგირების, თანანმდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატოს პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N21 დადგენილების მე-5 პუნქტში ზუსტდება

მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ზარანდია, დ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N56 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან მუნიციპალიტეტის გამგებელს ეწოდა მერი, შესაბამისად კი მისდამი დაქვემდებარებული ორგანო გახდა მერია, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს რეგლამენტში, საკრებულოს

აპარატისა და კომისიების დებულებებში ცვლილებები, რომელიც მიღებულ იქნა საკრებულოს ოქტომბრის სხდომაზე, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N39 დადგენილების ერთ პუნქტში გაპარულ იქნა ტექნიკური შეცდომა და დარჩა ჩანაწერი გამგეობაზე, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება აღნიშნული შეცდომის გასწორება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ზარანდია, დ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N57 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სიტყვა ითხოვა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც ნდობა გამოუცხადა მას, განაცხადა, რომ ყველამ ერთად გააკეთა ის საქმეები, რომელიც მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე აისახა. მან ასევე მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა მათ შემდგომ საქმიანობაში.

ბ. ქირია, მ. ლაგვილავა - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ მესამე მოწვევის საკრებულოს მუშაობას დადებითად აფასებენ, ისინი ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რომელიც მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული. ასევე წარმატებები უსურვეს საქმიანობაში მეოთხე მოწვევის ახალ არჩეულ საკრებულოს წევრებს.

ე. ჯობავა - მადლობა გადაუხადა მესამე მოწვევის საკრებულოს წევრებს ნაყოფიერი მუშაობისთვის, აღნიშნა, რომ ზოგი ისევ არჩეულია მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრად,

ზოგი კი სხვადასხვა სამსახურში გააგრძელებს მუშაობას,თითოეულს წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ტარიელ ალექსანდრია
8. მალხაზ ლაგვილავა
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. გენადი ქამანაია
12. დიანა გულუა
13. გიორგი ხურცილავა
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. ირაკლი ნადარაია
25. ფრიდონ შონია